თბილისის ტერიტორიაზე მცირე მდინარეების ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება და მათი გავლენა მდ. მტკვრის წყლის ხარისხზე

სოფიო მდივანი

ელ.ფოსტა: sopio.mdivani026@ens.tsu.edu.ge;

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაზის გამზ. 1 0179 თბილისი, საქართველო

ნაშრომში განხილულია თბილისის ზოგიერთი მცირე მდინარე (ვერე, დიღმულა, გლდანისხევი, ლოჭინი) და შეფასებულია მათი თანამედროვე ფიზიკო-ქიმიური და ეკო-ქიმიური მდგომარეობა 2015-2016 წლებისთვის. აგრეთვე განხილულია მდ. მტკვრის ანალოგიური მახასიათებლები წინასწარ შერჩეულ წერტილებში, კერძოდ: ხერთვისი, ბორჯომი, ზაჰესი, ვახუშტის ხიდი, გაჩიანი, რუსთავი. ნაშრომის მიზანია შეფასდეს თბილისის მცირე მდინარეების გავლენა მდინარე მტკვრის წყლის ხარისხზე.